ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. ოქტომბრის 13 № 12 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

114. დადგენილება № 52 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარ საკურორტო სამმართველოს დებულების შეცვლის შესახებ.

115. დადგენილება № 54 ც. ა. კ. და ს. კ. ს—შრომის გმირთა შესახებ.

116. დადგენილება № 59 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სათამასუქო დებულების მე-15, 16 და 17 მუხ. შეცვლისა და შევსების შესახებ.

117. დადგენილება № 60 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 250—254 მუხ. შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 254[1] და 254[2] მუხ. დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

118. დადგენილება ს. კ. ს.—მიზნობრივი საბინაო გადასახადის შემოსავლის 20%-ის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის თაობაზე 1927 წ. ოქტომბრის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

119. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემომღები საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

120. დადგენილება ს. კ. ს.—სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

121. დადგენილება ს. კ. ს.—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შედგენილობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის საცხოვრებელი სივრცის მიცემის შესახებ.

122. დადგენილება ს. კ. ს.—განათლების სახალხო კომისარიატისათვის სამხატვრო კოლექციებისა და ნივთების გადაცემის შესახებ.

123. დადგენილება ს. კ. ს.—სოფლად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პრემიების შეკრეფის სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის დაკისრების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

114. დადგენილება № 52 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარ საკურორტო სამმართველოს დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. ივნისის 25-ს თარიღისა და 33 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ დებულებაში „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 45) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1) მუხ. 8—24 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 8—მთავარ საკურორტო სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელიც ერთპიროვანად გადასწყვეტს ყოველ საკითხს და პასუხისმგებელია ჯანმრთელობის სახალხო კომისრის წინაშე სამმართველოს და მისი ქვემდებარე ყველა დაწესებულების მოქმედებისათვის საკურორტო წამლობის დაყენებისა და კურორტების სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საქმეში. მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც იმავე დროს არის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო რომელსაც უფროსის არ ყოფნის დროს აქვს ამ უკანასკნელის ყველა უფლება. მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს შორის მუშაობის განაწილება მოხდება წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად.

მუხ. 9—მთავარი საკურორტო სამმართველო შესდგება ორი ნაწილისაგან: ა) სამკურნალო-სასანიტარო და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და ბ) სამეურნეო-საფინანსო ნაწილისაგან. თვითეულ ნაწილს მეთაურობს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსის თანაშემწე, რომელიც განაგებს სათანადო ნაწილს ამა დებულების საფუძველზე და განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად. ორივე ნაწილს მომსახურეობას გაუწევს საქმეთა მმართველობა (საერთო განყოფილება), რომელსაც უშუალოდ განაგებს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსი ან, მისი დავალებით, უფროსის მოადგილე.

მუხ. 10—საერთო და პრინციპიალური საკითხების განსახილველად ნაწილებისა და განყოფილებების მუშაობის შესათანხმებლად მთავარ საკურორტო სამმართველოში არსებობს საგეგმო კომისია, რომელიც მოქმედებს ჯანმრთელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებული დებულების ნახმად.

მუხ. 11—საქმეთა მმართველობის (საერთო განყოფილების) მოქმედების საგანს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა საერთო კანცელარიისა;

ბ) შემუშავება საორგანიზაციო და საშტატო საკითხებისა, როგორც მთავარ სამმართველოსათვის, ისე მისი ქვემდებარე დაწესებულებათათვის;

გ) ურთიერთი მიმართვა მთავარ საკურორტო სამმართველოსა და ყველა დაწესებულებასა და პირს შორის;

დ) შესრულება მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსის საერთო განკარგულებისა, რაც განყოფილებათა გამგეობის საგანს არ ეხება;

ე) დამზადება მოსახსენებლად მთავარ საკურორტო სამმართველოს შემოსულ საერთო ხასიათის მიწერ-მოწერისა და შედგენა საერთო მოხსენებებისა.

ვ) აღნუსხვა მთავარ საკურტო სამმართველოს და მისი ადგილობრივ ორგანოების პირადი შედგენილობისა და მთლად საქმის წარმოება; რეგისტრაციატფილისში მოსულ მთავარ საკურორტო სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების თანამშრომლებისა;

ზ) ბრძანებათა დავთრის წარმოება;

თ) ბეჭდის და არქივის შენახვა;

ი) საგეგმო კომისიის დადგენილებათა აღსრულებისათვის თვალყურის დევნება.

კ) საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირგაბმულობა;

ლ) საკანცელარიო საგნების შენახვა და გაცემა.

მუხ. 12—სამკურნალო-სასანიტარო და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის ნაწილი ხელმძღვანელობას უწევს მთლად კურორტებზე წამლობის საქმის დაყენებას, სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა მოწყობას, კურორტებზე საერთო კეთილ-მოწყობის საქმეს და სამკურნალო მნიშვნელობის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვას. ამ ნაწილისათვის დაკისრებული საქმე განხორციელდება სამი განყოფილების მეშვეობით: ა) სამკურნალო-სასანიტარო, ბ) სატეხნიკო და გ) საადგილმამულო-სატყეო განყოფილებისა.

მუხ. 13—სამკურნალო-სასანიტარო განყოფილების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სამკურნალო საქმის დაყენებას და შეადგინოს სამკურნალო მუშაობის ყოველწლიური გეგმა;

ბ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა კურორტებზე გასაგზავნ ავადმყოფთა სისწორით შერჩევა-განაწილების საქმეს.

გ) გაუწიოს კონტროლი სამეცნიერო საკურორტო დაწესებულებას;

დ) განაგოს მთავარ საკურორტო სამმართველოს გამომცემლობა;

ე) შეისწავლოს ყოველმხრივ კურორტები, მინერალური წყლები და ტალახები კარგი ნიშნებისა და უარყოფითი ნიშნების დაწვრილებით გამოსარკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად; მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება კურორტების მდგომარეობისა და მათ გამოყენების შესახებ;

ვ) გაუწიოს ხელმძღვანელობა მთავარ საკურორტო სამმართველოს სანატორიუმებისა, პანსიონატებისა, საკურორტო საავადმყოფოებისა, საბალნეოლოგიო დაწესებულებებისა, ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტისა და იმ მეტეოროლოგიური სადგურების მოქმედებას, რომლებიც გეოფიზიკურ ობსერვატორიას არ ექვემდებარებიან;

ზ) აღნუსხოს და ზედამხედველობა გაუწიოს კურორტების რაიონში არსებულ უწყებათა სანატორიუმებსა და დასვენების სახლებს;

თ) შეადგინოს წლიური საექიმო ანგარიში;

ი) დაამყაროს მთავარ საკურორტო სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებასთან და სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქის საზღვრები; დააწესოს კურორტების სამკურნალო ფაქტორების რეჟიმის სამთო-სანიტარული დაცვა; მოაწყოს ცენტრალური და ადგილობრივი სამთო-სანიტარული დაცვის კომისიები და გაუწიოს მათ მოქმედებას ხელმძღვანელობა;

კ) გაუწიოს ზედამხედველობა სანატორიუმებისა, სამკურნალო დაწესებულებისა, ბინებისა და კვების პროდუქტების სანიტარული დაცვის საქმეს, შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო კანონპროექტები და სავალდებულო დადგენილებები;

ლ) შეიმუშაოს სატეხნიკო განყოფილებასთან შეთანხმებით სანიტარულ-ტეხნიკური ღონისძიებანი კურორტების გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე საერთო კეთილმოწყობის საკითხები.

მუხ. 14—სატეხნიკო განყოფილების მიზანს შეადგენს:

ა) აღნუსხოს ყველა არსებული საკურორტო ნაგებობა და დანადგამი;

ბ) აღადგინოს კურორტები, შეაკეთოს შენობები, ააგოს ახალი შენობები, შეადგინოს სათანადო პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები;

გ) შეადგინოს განყოფილების ყველა სამუშაოს ტეხნიკური ანგარიშგება და აღსრულებითი ხარჯთ-აღრიცხვა;

დ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფ ყველა მეურნეობას და საწარმოს, აღნუსხოს ეს მეურნეობანი და საწარმონი და განახორციელოს მათთვის საჭირო ყველა ტეხნიკური სამუშაო და აგრეთვე ის სამუშაო, რაც კურორტების კეთილმოწყობის საქმეს ეხება.

მუხ. 15—საადგილ-მამულო-სატყეო განყოფილებას დაეკისრება იზრუნოს ყველა იმ ტყისა და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებისათვის, რაც გადაეცემა მთავარი საკურორტო სამმართველოს კურორტებზე ჰავისა, ნიადაგისა, მინერ. წყლებისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის მიზნით და რაც შედის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ფარგლებში; აგრეთვე იზრუნოს ყველა იმ სანახებისა, შენობისა, ნაგებობისა და მეურნეობისათვის, რაც აღნიშნულ ნაკვეთებს ეკუთვნის. დაკისრებული მიზნის განსახორციელებლად განყოფილება განაგებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საკურორტო ტყის ნაკვეთებისა და სანახების სივრცის გეგმაზე გადაღებისა, გამიჯვნისა და გეგმის შედგენის საქმეს;

ბ) ტყის მოვლის მიზნით მასში მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოს გეგმის შედგენისა და განხორციელების საქმეს; პარკებისა, ბაღებისა, ბოსტნებისა და ფერმების მოწყობა-მოვლის საქმეს;

გ) სამთო-სანიტარული დაცვის ოლქში საძოვრებისა, სათიბებისა, სახნავებისა, ვენახებისა და სხვა სანახების მოვლა-გამოყენების საქმეს.

მუხ. 16 - სამეურნეო-საფინანსო ნაწილი განაგებს მთავარ საკურორტო სამმართველოს სამეურნეო, საფინანსო და საექსპლოატაციო მუშაობას, როგორც სახელმწიფო დაწესებულებისა და ერთიან სამეურნეო ორგანოსას ყველა მისი ხელისშემწყო საკურორტო სავაჭრო-სამრეწველო და კომუნალური საწარმოთი, აგრეთვე განაგებს სანატორიუმებისა, პანსიონატებისა, კურორტებისა, სასტუმროებისა და საბინაო ფონდის გეგმიან ექსპლოატაციას. თავის სამუშაოს სამეურნეო-საფინანსო ნაწილი განახორციელებს შემდეგი სამი განყოფილების მეშვეობით:

ა) საწარმოო,

ბ) სამეურნეო-საექსპლოატაციო და

გ) საფინანსო-საანგარიშო განყოფილებებისა.

მუხ. 17—საწარმოო განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფ ყველა საწარმოს;

ბ) შეიმუშაოს წლიური და საკვარტალო საწარმოო გეგმები და, დამტკიცების შემდეგ, განახორციელოს ეს გეგმები; შეადგინოს წლიური საწარმოო მუშაობის ანგარიში;

გ) განაგებს იმ მინერალური წყლების საექსპორტო მიზნით ჩამოსხმის საქმეს, რაც ექსპლოატაციაშია;

დ) მოაწყოს და განაგოს მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმონი;

ე) განაგოს ყველა ხელისშემწყო საწარმო, როგორიც არის: გაზისა, შუშისახე-ტყისა, ბოთლების საცობისა და ბურბუშელის ქარხნები, აგრეთვე შეფუთვის განყოფილება, ექსპედიცია და სხვ.;

ვ) შეადგინოს პროექტები და გეგმები ახალი მინერალური წყლების გამოყენებისათვის.

მუხ. 18—სამეურნეო-საექსპლოატაციო განყოფილების მიზანს შეადგენს: ხელი შეუწყოს საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტების ჯეროვანად გამოყენებას სამკურნალო მიზნით. ამ მიზნის განსახორციელებლად განყოფილება:

ა) განაგებს კურორტებისათვის, მათ დაწესებულებათათვის, მეურნეობათათვის და წარმოებათათვის თვითღირებულებისა და გასაცემი ფასების განსაზღვრის საქმეს; მათთვის ნედლეულობისა და ყოველივე მასალის მომარაგებისა და მათი პროდუქციის გამოყენება-გასაღების საქმეს;

ბ) შეიმუშავებს და განახორციელებს სანატორიუმებისა, პანსიონატებისა, სასტუმროებისა და თავისუფალი საბინაო ფონდის მიზანშეწონილად გამოყენების საექსპლოატაციო გეგმას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საერთო ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას გაუწევს სახელმწიფოებრივი კურორტების სამეურნეო ნაწილის მოქმედებას; განიხილავს ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილ საწარმოო გეგმებს და შეადგენს კურორტების საერთო-საექსპლოატაციო გეგმას;

დ) მოაწყობს კურორტებზე ავადმყოფთა მიყვანისა და უკან წაყვანის საქმეს;

ე) დაამზადებს სურსათ-სანოვაგეს და გაანაწილებს ცალკე კურორტებსა და სანატორიუმებს შორის;

ვ) მიაწვდის სანატორიუმებს, განმანაწილებელ პუნქტებს და სხვა დაწესებულებებს საჭირო ინვენტარს;

ზ) შეიძენს საერთოდ კურორტებისათვის საჭირო ყოველგვარ საგანს და გაუგზავნის კურორტებს დანიშნულებისამებრ;

თ) განაგებს მთავარ საკურორტო სამმართველოს, როგორც დაწესებულების, ყველა სამეურნეო საკითხს (ინვენტარის აღნუსხვა, შენახვა და შევსება, მთავარ საკურორტო სამმართველოს სადგომის სათანადოთ შენახვისათვის თვალყურის დევნება); საკანცელარიო საგნების შეძენა; მთავარ საკურორტო სამმართველოს სატრანსპორტო საშვალებათა მოწყობა და სხვ.

მუხ. 19—საფინანსო-საანგარიშო განყოფილება:

ა) შეადგენს მთავარ საკურორტო სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვას, საბიუჯეტო გეგმას და წლიურ სახარჯთაღრიცხვო ანგარიშებს;

ბ) თვალყურს ადევნებს, რათა მთავარ საკურორტო სამმართველოს ყველა დაწესებულებამ და საწარმომ ზედმიწევნით შეასრულოს დამტკიცებული ბიუჯეტი;

გ) მიიღებს, შეინახავს და დახარჯავს ფულს სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებისამებრ;

დ) შეამოწმებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტების მიერ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვებს და განაგებს მათთვის ფულადი სახსარის აღნუსხვისა და განაწილების საქმეს;

ე) განაგებს საერთო ანგარიშებისა და ანგარიშწარმოების საქმეს;

ვ) განაგებს საერთოდ მთავარ საკურორტო სამმართველოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა ყოველგვარ საფინანსო-საანგარიშო საკითხს.

მუხ. 20—სამკურნალო-სასანიტარო განყოფილების სათავეში სდგას მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსის თანაშემწე—სამკურნალო-სასანიტარო და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის ნაწილის გამგე; საფინანსო განყოფილებას უშუალოდ განაგებს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსის თანაშემწე—სამეურნეო-საფინანსო ნაწილის გამგე, ხოლო დანარჩენ განყოფილებებს მეთაურობენ განყოფილებათა გამგენი, რომელნიც მოქმედებენ ამა დებულების თანახმად და სათანადო ნაწილის გამგის საერთო ხელმძღვანელობით.

მუხ. 21—ნაწილებისა და განყოფილებების გამგენი მოვალენი არიან მიიღონ ყველა ღონისძიება მათთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, გამოიჩინონ საჭირო მზრუნველობა და წინდახედულება და პასუხს აგებენ დისციპლინარული, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის წესით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მინდობილი ქონების დაცვისათვის, ისე საქმის მომჭირნეობით გაძღოლისათვის, მომქმედ კანონთა თანახმად.

მუხ. 22—მთავარ საკურორტო სამმართველოს ჰყავს კონტროლიორები, ინსტრუქტორები და იურისკონსულტი; მათ რიცხვს, საჭიროებისდა მიხედვით განსაზღვრავს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსი, რომელსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

მუხ. 23—მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსებობს სამეცნიერო საკურორტო საბჭო, სათანადო სექციებით (სამკურნალო-სასანიტარო, სატყეო და სხვ.), რომელიც პერიოდულად იკრიბება და მეცნიერულად ამუშავებს მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ მისთვის განსახილველად გადაცემულ საკურორტო საქმის საკითხებს.

მუხ. 24—სხვადასხვა უწყების მიერ კურორტებზე წარმოებული მუშაობის შესათანხმებლად და მათ საქმიანობაში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსდება საუწყებათაშორისო თათბირი, რომლის შედგენილობას და მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

2) იმავე დებულების მე-III თავის სახელწოდება შეიცვალოს შემდეგნაირად: „სახელმწიფოებრივი კურორტების ადგილობრივი სამმართველოები“, ხოლო 18-22 მუხლები გადაკეთდეს 25—29 მუხლებათ.

26 და 28 მუხლებში ახალი რედაქციით (ძველი რედაქციით 19 და 21 მუხ.) სიტყვები: „ადგილობრივ კურორტთა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოებრივი კურორტების“.

26 მუხლში (ძველი რედაქციით მე-19 მუხ.) ლიტ. „ა“ ამოშლილ იქნეს შემდეგი სიტყვები: „და წარმოებათა გარდა ბორჯომის კომბინატისა“.

3) მთავარ საკურორტო სამმართველოს დებულებას დაემატოს მე-IV თავი: „ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები“-ს შესახებ შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 30—ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტები, რჩებიან რა მთავარ საკურორტო სამმართველოს საერთო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ,—გადაეცემიან გამგებლობისათვის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის განყოფილებებს.

მთავარ საკურორტო სამმართველოს დაეკისრება აგრეთვე მეთვალყურეობა იქონიოს, რათა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ექსპლოატაციით შემოსული თანხები იხარჯებოდეს იმავე კურორტების კეთილმოწყობის საქმეზე.

II.

„დებულება ბორჯომის მინერალური წყალის სამმართველოს შესახებ“, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლ. აგვისტოს 18-ს დადგენილებით (საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-ით, მუხ. 105) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებ. კომიტ. თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ივანოვ-კავკასიელი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

115. დადგენილება № 54 ს. ა. კ. და ს. კ. ს.

შრომის გმირთა შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურის სფეროში განსაკუთრებული დამსახურებანი მიუძღვის და რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა 1. ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეებზედაც.

შენიშვნა 2. დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების დროს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გატარებული დრო არ გამოირიცხება.

2. შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარდგენისამებრ. შუამდგომლობა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ აღიძვრის საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ინიციატივით.

შენიშვნა 1. სამხედრო მსახურთათვის შრომის გმირის წოდების მინიჭება მოხდება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სამხედრო ტერიტორიალური სამმართველოს წარდგენით, რაც უნდა წარიმართოს სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

შენიშვნა 2. შრომის გმირს შეიძლება ჩამოერთვას ეს წოდება მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც მას შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

3. შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ აღძრულ შუამდგომლობას საფუძვლად უნდა დაედვას:

ა) სახალხო მეურნეობის ინტერესებისა და სახელმწიფო მმართველობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო მოღვაწეობის ფაქტი, როგორიცაა: სახალხო ქონების (ფაბრიკა-ქარხნებისა, საწყობებისა, განსაკუთრებული ღირებულების ქონების და სხვ.) დაღუპვისა ან გატაცებისაგან გადარჩენა და შენახვა, თავის მაგალითით მასებში შრომის სურვილის აღძვრა, საერთო-სასარგებლო ნაგებობათა აშენების საქმეში თაოსნობის გამოჩენა, მეტად სასწრაფო და მნიშვნელოვან სამუშაოს შესრულება და სხვა;

ბ) მრავალ წელთა განმავლობაში, განუწყვეტლივ, დაკისრებული საქმის ისეთი ენერგიით, დისციპლინით, სისწორითა და სისწრაფით შესრულება, რაც თვალსაჩინოდ აღემატება ჩვეულებრივ დონეს და სამაგალითო იქნება სხვა მომუშავეთათვის და სხვ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მნიშვნელოვანი მიღწევანი ტეხნიკურსა, ეკონომიურსა და ადმინისტრატიულ დარგებში, ტეხნიკური გაუმჯობესება, გამოგონება, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის განხორციელება და სხვა;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ბეჭდვითი და ლაბორატორული ნაშრომები, გამოგონება და სხვ. მეცნიერებისა, ლიტერატურის ან ხელოვნების დარგში;

ვ) სახელმწიფო, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დიდი სამსახურის გაწევა მუშების ან გლეხებისათვის ფარ-ო დახმარების აღმოჩენის საქმეში (ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟენერები, კოოპერატორები, ტეხნიკოსები, ფერშლები და სხვ.).

4) შუამდგომლობა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ შეიძლება აღიძრას მხოლოდ ისეთი მუშაკის მიმართ, რომელიც შეესაბამება ამა დადგენილების მე-3 მუხლის მოთხოვნებს და რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა.

შენიშვნა. შუამდგომლობის აღძვრა შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ისეთი პირისათვის, რომელსაც არა აქვს ამა მუხლში აღნიშნული შრომის სტაჟი, შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში; ამასთანავე აუცილებლად საჭიროა, რომ ამ პირს მეტად მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდეს შრომის ფრონტზე.

5. შრომის გმირს, რომელსაც დაქირავებით უმუშავნია არა ნაკლებ 35 წლისა, სოციალური დაზღვევის ორგანოთა მიერ მიეცემა პენსიად სრული სამუშაო ხელფასის სამი მეოთხედი, შრომის უნარისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, მას ეძლევა აღნიშნული პენსიის ნახევარი.

შრომის გმირს, რომელსაც 35 წლამდე ნაკლები უმუშავნია დაქირავებით, პენსია აღნიშნული რაოდენობით, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, მიეცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ინვალიდთა პირველ სამ ჯგუფ შორის ერთ-ერთ ჯგუფშია ჩარიცხული.

შენიშვნა 1. შრომის გმირის პენსიის გამოანგარიშების დროს საფუძვლად მიიღება მისი სრული საშუალო თვიური ხელფასი იმ სამი საკალენდრო თვისა, რაც წინ უძღოდა მისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭებას, ან დაქირავებით მუშაობის სამი უკანასკნელი თვისა, უკეთუ შრომის გმირის წოდების მინიჭების დროს ეს პირი დაქირავებით აღარ მუშაობს.

შენიშვნა 2. უკეთუ შრომის გმირი სამხედრო მსახურთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელზედაც ვრცელდება 1926 წ. მარტის 19-ის დებულება „მუშათა და გლეხთა წითელ არმიის საკადრო უფროსთა შედგენილობის სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1926 წ. მე-20 №-რი, მუხ. 131). მას აქვს პენსიაზე ისეთივე უფლება, რაც მინიჭებული აქვს 30 და უფრო მეტ წელს ნამსახურევ პირს (დებულების მე-11 მუხლის მესამე ნაწილი), იმისდა მიუხედავად, თუ რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი ხანი მსახურებდა აღნიშნული შრომის გმირი მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

6. უკეთუ შრომის გმირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან „შრომის ინვალიდების და გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ დაზღვეულ შრომის ინვალიდების ოჯახის წევრთა სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის შესახებ“—1925 წ. აგვისტოს 28-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 57 №-რი, მუხ. 429) დებულების მე-4 მუხლში, მიეცემათ პენსიად: უკეთუ უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი,—შრომის გმირის სრული პენსიის ორი მესამედი; უკეთუ ორი—პენსიის ნახევარი და უკეთუ ერთი—პენსიის ერთი მესამედი.

ასეთივე რაოდენობის პენსია მიეცემათ აგრეთვე იმ გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ შრომის გმირების ოჯახის წევრებს, რომელთაც ეძლეოდათ ნახევარი პენსია ან და იგი სრულიად არ ეძლეოდათ.

7. შრომის გმირს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი არ დაედება, უკეთუ მისი შემოსავალი არ აღემატება 6.000 მან. წელიწადში. ხოლო, უკეთუ შემოსავალი ამ თანხას აღემატება, დასაბეგრად შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს 6.000 მან.

პენსია, რომელსაც შრომის გმირი იღებს, არ დაიბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა, გაწერილი ისეთ მეურნეობაზე, რომელშიაც შრომის გმირი შედის, შემცირებულ უნდა იქნეს 20 %-ით.

8. უკეთუ შრომის გმირი დაქირავებით არ მუშაობს და მას, პენსიის გარდა, სხვა არავითარი შემოსავალი არა აქვს, იგი ბინის ქირას გადაიხდის მუშამოსამსახურეთა თანაბარი განაკვეთით; ამასთან ამ ქირის გამოანგარიშების დროს ვარაუდში მიიღება შრომის გმირის პენსიის 75%.

შენიშვნა. უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, იგი ბინის ქირას იხდის თავისი ხელფასის მიხედვით; ამასთანავე მისი პენსია ანგარიშში არ მიიღება.

9. უკეთუ შრომის გმირისა და მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების მიერ დაჭერილი საცხოვრებელი სივრცე იმ ნორმას აღემატება, რაც „საცხოვრებელი სადგომების“ შესახებ მომქმედი კანონითაა დაწესებული. შრომის გმირი ამ ზედმეტ სივრცეში, იმისდა მიუხედავად, დიდია ეს სივრცე თუ პატარა, ქირას მხოლოდ ერთმაგი რაოდენობით იხდის.

10. შრომის გმირის გამოსახლება სახლიდან ადმინისტრატიული წესით, განაგრძობს იგი დაქირავებით მუშაობას თუ არა, შეიძლება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას მიეცემა საცხოვრებლად გამოსადეგი თავისუფალი სივრცე და სატრანსპორტო საშუალება ახალ ბინაზე გადასასვლელად.

11. შრომის გმირს და მისი ოჯახის წევრებს:

ა) შეუმცირდებათ კომუნალური მომსახურეობისათვის დაწესებული სასყიდელი, სახელდობრ: წყლისა და განათების სასყიდელი შეუმცირდებათ 25%-ით იმ ნორმასთან შედარებით, რაც დაწესებულია მუშა მოსამსახურეთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ეძლევათ ყველა სახის საექიმო და საკურორტო დახმარება დაზღვეულთა და მათ ოჯახის წევრთა თანაბარ პირობებში.

12. შრომის გმირის შვილები და ყველა ის პირი, რომელიც მის კმაყოფაზე იმყოფება, სასწავლებლებში მიღების დროს მიეთანაბრებიან ფიზიკური შრომის პირთა შვილებს და განთავისუფლდებიან სწავლა-აღზრდისათვის გადასახდელი სასყიდლისაგან.

13. შრომის გმირის შენობას, სატრანსპორტო საშუალებას (ცხენი, ველოსიპედი და სხვ.) და ოთხფეხ საქონელს ადგილობრივი გადასახადი არ დაედება, უკეთუ ამ შენობას, სატრანსპორტო საშუალებას და საქონელს მოიხმარებენ მარტოოდენ შრომის გმირი და მისი ოჯახის წევრები, ხოლო არ გამოიყენებენ საექსპლოატაციოდ გაქირავებით ან სხვაგვარად.

14. შრომის გმირს და მის კმაყოფაზე მყოფ პირთ უფლება აქვთ სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა სახლები და სხვ.) რიგს გარეშე იყენენ მიღებული.

15. ამა დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები და უპირატესობანი გავრცელდება იმ პირზედაც, რომელიც ცნობილია შრომის გმირად ამა დადგენილების გამოცემამდე, ხოლო, უკეთუ მას დაემტკიცება შრომის გმირის წოდება, ამა დადგენილების მე-2 მუხ. პირველი ნაწილის წესით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგ. **ვ. ივანოვ-კავკასიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 217 №-ში 1928 წ. სექტემბრის 18.

---

116. დადგენილება № 59 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სათამასუქო დებულების მე-15, 16 და 17 მუხ. შეცვლისა და შევსების შესახებ.

სათამასუქო დებულების (1924 წ. № 6 კან. კრებ., მუხ. 28) შესაცვლელად და შესავსებად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღნიშნული დებულების მე-15 მუხლს დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„15. უკეთუ სათანადო ორგანოში საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქი განაღდებულ იქნა პროტესტამდე, თამასუქის პატრონს უფლება აქვს მოითხოვოს, სათამასუქო თანხისა და პროცენტების გარდა, აგრეთვე თამასუქის საპროტესტოდ წარდგენასთან დაკავშირებით სანოტარო, ადგილობრივი და სხვა გამოსაღების ანაზღაურება“.

2. იმავე დებულების მე-16 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. შეპირებული თამასუქი (ტრატტა) ეწოდება თამასუქის გამცემის (ტრასანტის) წერილობით წინადადებას გადამხდელისადმი (ტრასსატი)—გადაუხადოს ფული თამასუქის პატრონს; ამასთანავე, უკეთუ ტრასსატმა უარი სთქვა ამ წინადადების ასრულებაზე, ტრასსანტი მოვალეა თვით გადაუხადოს ეს ფული თამასუქის პატრონს“.

3. იმავე დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„პუნ. 5. ის პირი, ვისაც ფული უნდა გადაეხადოს (თამასუქის პირველი შემძენი)“.

4. იმავე (17) მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** თამასუქის გამცემს თამასუქის პირველ შემძენად შეუძლიან დანიშნოს თავისი თავი; მას შეუძლიან აგრეთვე თავისი თავი გადამხდელადაც დანიშნოს“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 212 №-ში 1928 წ. სექტემბრის 12.

---

117. დადგენილება № 60 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 250—254 მუხ. შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 254^1 და 254^2 მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 250, 251, 252, 253 და 254 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

თ ა ვ ი XXIX

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა.

კ ა რ ი 1.

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

მუხ. 250. საკითხს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, რომელზედაც შეტანილი საკასაციო საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული ან რომელსაც საკასაციო ვადა გაუვიდა, გადასწყვეტს უზენაესი სასამართლო.

მუხ. 251. გადაწყვეტილების გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც აღმოჩნდება ახალი გარემოება, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და რაც განმცხადებელმა არ იცოდა;

ბ) როდესაც სასამართლოს განაჩენით დადასტურებულ იქნება გადაწყვეტილ საქმეში მოწმის ტყუილი ჩვენება, მხარისა, მის წარმომადგენელის ან ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედობა ან სასამართლოს იმ წევრების დანაშაულებრივი ქმედობა, რომელთაც საქმეში მონაწილეობა მიუღიათ;

გ) როდესაც გადაწყვეტილება დამყარებულ იქნება ისეთ დოკუმენტზე, რაც შემდეგში, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით, ყალბ დოკუმენტად იქნა ცნობილი, ან როდესაც გაუქმებულ იქნება სასამართლოს ან სხვა დაწესებულების ის დადგენილება, რაც გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო.

მუხ. 252. სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, შეიძლება აღიძრას უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის წინაშე, როგორც პროცესში მონაწილე მხარის განცხადებით, ისე რესპუბლიკის პროკურორისა, უზენაეს სასამართლოსთან განწესებული მისი თანაშემწის, ან სათანადო სამაზრო პროკურორის თაოსნობით.

მუხ. 253. საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (252 მუხ.) შეიძლება აღიძრას არა უგვიანეს ერთი თვისა იმ გარემოების აღმოჩენის დღიდან, რაც აღნიშნულია ამა კოდექსის 251 მუხ. „ა“ პუნქტში ან დღიდან იმ გარემოების დადასტურებისა, რაც გათვალისწინებულია ამავე 251 მუხ. „ბ“ და „გ“ პუნქტში.

კ ა რ ი 2.

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით.

მუხ. 254. რესპუბლიკის პროკურორსა და უზენაეს სასამართლოსთან განწესებულ მის თანაშემწეს შეუძლიანთ გამოითხოვონ რესპუბლიკის ყოველ სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლოდან, ზედამხედველობის წესით გადასათვალიერებლად, ყოველი საქმე, რომელზედაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აგრეთვე შეაჩერონ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება გადასინჯვის დამთავრებამდე.

შენიშვნა. გამოთხოვნა ისეთი საქმისა, რომელზედაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, შეუძლიან აგრეთვე სამაზრო პროკურორსაც.

II.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს 254[1] და 254[2] მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 254[1]. უკეთუ გამოთხოვნილ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღმოჩენილ იქნება მომქმედი კანონების რაიმე განსაკუთრებულად არსებითი დარღვევა, ან მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, ან და მშრომელთა მასის ინტერესების აშკარა, კანონის პირდაპირი მოთხოვნის საწინააღმდეგო, დარღვევა, რესპუბლიკის პროკურორს ან უზენაეს სასამართლოსთან განწესებულ მის თანაშემწეს უფლება აქვთ ზედამხედველობის წესით პროტესტი განაცხადონ: სახალხო ან სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე—უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში, ხოლო უზენაეს სასამართლოს სასამართლო ან საკასაციო სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე—უზენაეს სასამართლოს პლენუმში.

მუხ. 254[2]. ზედამხედველობის წესით საქმის აღძვრა შეიძლება მხოლოდ ექვსი თვის ვადაზე იმ დღიდან, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 18.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

118. დადგენილება ს. კ. ს.

მიზნობრივი საბინაო გადასახადის შემოსავლის 20%-ის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის თაობაზე 1927 წლის ოქტომბრის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 5-ის დადგენილება—მიზნობრივი საბინაო გადასახადის 20%-ს საბინაო მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის შესახებ (გაზ. „კომუნ." 1927 წ. ოქტ. 6-ს) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 31.
ტფილისი—სასახლე.

---

119. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, საზომ-საწონთა მეტრიული სისტემის შემომღები საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული, მეტრიული სისტემის შემომღები ცენტრალური კომისიის ანგარიშის გამო" 1928 წ. მარტის 15-ს გამოტანილი (სსრკ კან. კრ. 1928 წლის მე-20 №-რი, მუხ. 179) დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ" 1928 წ. ივნისის 21-ს თარიღით გამოქვეყნებული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 152) დადგენილების თანახმად—სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, საზომ-საწონთა მეტრული სისტემის გამტარებელი საუწყებათაშორისო კომისია და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში არსებული თანამდებობანი საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის რწმუნებულებისა გაუქმებულ იქნეს 1928 წლის ოქტომბრის 1-დან და წინადადება მიეცეს მათ მოახდინონ ამ ვადისათვის ყველა თავისი საქმის ლიკვიდაცია.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საზომ-საწონთა მეტრული სისტემის საბოლოო განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება დაეკისროს სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთ, აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათ—მათ სათავეში მდგომ პირთა პასუხისმგებლობით.

3. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საზომ-საწონთა მეტრული სისტემის საბოლოო განმტკიცების გეგმის განხორციელებისათვის მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან დასანიშნ ინსტრუქტორს, რომელიც მისთვის დაკისრებული მიზნის განხორციელებისათვის გამოიყენებს საზომ-საწონთა პალატის აპარატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 14.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

120. დადგენილება ს. კ. ს.

სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამელიორაციო ამხანაგობა მოეწყობა უმთავრესად იმ მიზნით, რათა შეერთებულის ძალით ააგოს, გამოიყენოს, წესიერად შეინახოს და დაიცვას ასაგები ან უკვე აგებული ჰიდრო-ტეხნიკური სისტემები, რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა, დაშრობა, არხის და ხევის ნაპირების გამაგრება და სხვა.

ამხანაგობას შეუძლიან აგრეთვე აწარმოოს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ე. ი. შეიძინოს სამეურნეო იარაღი და მანქანები, მიწის ხელოვნური სასუქები და ინსეკტისიდები, კოლექტიურად დაამუშაოს მიწები, შემოიღოს უფრო შემოსავლიანი სამეურნეო კულტურები, გადაამუშაოს და გაასაღოს სასოფლო პროდუქტები და სხვა.

2. ყოველგვარ ჰიდრო-ტეხნიკურ სისტემის აგება-გამოყენების და შეკეთება-დაცვის საქმეში სამელიორაციო ამხანაგობა ექვემდებარება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დარგში—სოფლის კავშირს. სამელიორაციო ამხანაგობანი შედიან სასოფლო-სააეურნეო კოოპერაციის ქსელში (თანახმად საქ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 30-ის დადგენილებისა).

3. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო და სოფლის კავშირი გამოიკვლევენ ერთად ამა თუ იმ რაიონში სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების საჭიროებას.

4. სამელიორაციო ამხანაგობის წესდებას დაამტკიცებს სოფლის კავშირი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით და ამის შემდეგ იგი გაიზავნება სარეგისტრაციოდ კოოპერაციის საქმეთა სამმართველოში.

5. ყოველგვარი წინასწარი კვლევა, მაგ. ჰიდროტეხნიკური, გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, საანალიზო, გეო-ბოტანიკური და აგრო ეკონომიური ამა თუ იმ ტიპის მელიორიციის შესახებ იწარმოება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (თანახმად საქ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 16-ის დადგენილებისა); წყალთა მეურნეობის სამმართველო შეადგენს აგრეთვე ამა თუ იმ სამუშაოთა გეგმას, პროექტს და ხარჯთ-აღრიცხვას.

6. ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოს აწარმოებს წყალთა მეურნეობის აპარატი ან, წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანხმობითა და მისი უშუალო ტეხნიკური ხელმძღვანელობით, სამელიორაციო ამხანაგობა.

7. საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკი მისცემს ამხანაგობას თანხებს საკრედიტო ფონდიდან თანახმად წესდებისა—წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით.

8. ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა ყოველწლიურად შეკეთებისა, ამ ნაგებობათა ექსპლოატაციისა, წყლის განაწილებისა, წყლის სარგებლობისათვის გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახადის დაწესებისა და სამელიორაციო სესხის დაფარვის შესახებ სამელიორაციო ამხანაგობა შეადგენს სათანადო პროექტს და გაუგზავნის დასამტკიცებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

9. სამელიორაციო ამხანაგობებს ყოველგვარ აგრო-კულტურულ მუშაობაში ხელმძღვანელობას უწევს სოფლის კავშირი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

10. სამელიორაციო ამხანაგობების მოქმედებათა ყოველწლიურ რევიზიის წესრიგს შეიმუშავებენ ერთად წყალთა მეურნეობის სამმართველო და სოფლის კავშირი; ესენივე მოახდენენ ამ რევიზიას.

11. სოფლის კავშირი გაუწევს სამელიორაციო ამხანაგობებს სრულ ზედამხედველობას, რათა ყოველი ხარჯი წესისამებრ იყოს შესრულებული და ანგარიშში გატარებული, საერთოდ კი ყოველგვარი შემოსავალ-გასავალის ანგარიშწარმოება ემყარებოდეს ბუხჰალტერიის წესს და გამართლებული იყოს სათანადო დოკუმენტებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 21.
ტფილისი სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 208 №-ში, 1928 წ. სექტემბრის 7.

---

121. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელ არმიის საკომანდო შედგენილობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის საცხოვრებელი სივრცის მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და ქალაქის საბჭოებს—მისცენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შედგენილობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთა საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნაწილი იმ საცხოვრებელი სივრცისა, რაც მიღებულ იქნება ახალი საბინაო მშენებლობით,—არა ნაკლებ 10%-სა ტფილისში და 5%-სა სხვა ადგილებში.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული საცხოვრებელი სივრცის ოდენობას გადასინჯავენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და ქალაქის საბჭოები ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის გასულს, ერთის მხრით, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შედგენილობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთა საბინაო საჭიროებისა და მეორეს მხრით თვითეული აღმასრულებელი კომიტეტის და ქალაქის საბჭოს მშენებლობის გეგმის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ს.ს. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის" 212 №-ში 1928 წ. სექტემბრის 12.

---

122. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

განათლების სახალხო კომისარიატისათვის სამხატვრო კოლექციებისა და ნივთების გადაცემის შესახებ.

1923 წლის ნოემბრის 12-ის თარიღისა და 114 №-ის დადგენილების დამატებად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო ორგანოს, რომლის განკარგულებაშიაც არის რაიმე სამხატვრო კოლექცია ან მხატვრული მნიშვნელობის ცალკე ნივთები, გადასცეს ყოველივე ეს, ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს საქართველოს მუზეუმში მოსათავსებლად.

სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 24.
ტფილისი—სასახლე.

---

123. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიების შეკრეფის საოემო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის დაკისრების შესახებ.

რათა სოფლის მოსახლეობისათვის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიების გადახდევინების საქმე წარმატებით მიმდინარეობდეს, საქართველოს სს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სოფლის მოსახლეობისათვის სავალდებულო საგადასახადო დაზღვევის პრემიების (შესატანი თანხა) გადახდევინება 1928 წლის ოქტომბრის 1-დან დაეკისროს სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს.

პრემიების შეკრეფასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად დაწესებულ იქნეს სათემო აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ თემის ფარგლებში შეკრეფილი პრემიების ანარიცხი $4^0/_0$-ის რაოდენობით.

2. ნება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს: ა) შეუთანხმდეს სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს ამა დადგენილების განხორციელების საკითხის შესახებ და თანაც დაუყოვნებლივ გადასცეს მათ სათანადო მასალები და ბ) გააუქმოს ამკრეფთა შტატი.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. სექტემბრის 11.
ტფილისი-სასახლე.

შეცდომის გასწორება.

№ 11—მუხ. 106. გვ. 219—მუხ. 3. პუნქტ. ვ.
არის—177 მუხ. „ვ“ პუნქ.
უნდა იყოს—177 მუხ. „ზ“ პუნქ.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი 1819. ტირაჟი 1250